GRASS FACTCHECK

GRASS REFORMANDA
„საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
ნერილის რეგისტრაციის № 3
თარიღი: 10 01 2017 წ.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს

ბატონო/ქალბატონო,

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 37-ე მუხლის თანახმად, ამავე კოდექსის მე-40 მუხლით დადგენილ ვადაში, გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგი სახის ინფორმაცია:

2011 წლის 1 აპრილს, ჰააგის მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ (International Court of Justice – ICJ) გაიზიარა რუსეთის ერთ-ერთი შუამდგომლობა საქართველოს სახელმწიფოს მიერ 2008 წლის 12 აგვისტოს შეტანილ სარჩელზე, რომელიც გულისხმობს 90-იანი წლებიდან დღემდე საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე - აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში განხორციელებულ ეთნიკურ წმენდას. ჰააგის მართლსაჯულების სასამართლომ გადაწყვიტა, რომ სასამართლო არ დაიწყებს საქართველოს მიერ რუსეთის წინააღმდეგ შეტანილი სარჩელის არსებით განხილვას, გამომდინარე იქიდან, რომ გაერთიანებული ერების კონვენციის „რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CERD)" 22-ე მუხლი ითვალისწინებს მანამდე ორმხრივ მოლაპარაკებებს მოპასუხე მხარესთან (რუსეთის სახელმწიფო).

- ✓ ჰააგის სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ, 2011 წლის აპრილიდან დღემდე, გვაქვს თუ არა რუსული მხარისთვის, შვეიცარიის შუამავლობით, რაიმე სახის დიპლომატიური ნოტა ან/და სხვა სახის დოკუმენტი გაგზავნილი ზემოთ აღნიშნულ საკითხზე?
- ✓ იმ შემთხვევაში, თუ რუსული მხარესთვის გაგზავნილი გვაქვს ნოტა ან/და სხვა სახის დოკუმენტი ეთნიკურ წმენდასთან დაკავშირებით (ჰააგის სასამართლო გადაწყვეტილების შემდეგ), რა შინაარსის იყო ის, როდის გაიგზავნა და მოჰყვა თუ არა მას პასუხი რუსული მხარისგან?

პატივისცემით,

დიმიტრი ავალიანი

ფაქტ-მეტრის მთავარი რედაქტორი

www.factcheck.ge

მისამართი,

თბილისი, მიცკევიჩის ქ. #27

საკონტაქტო პირი,

ირინა გურგენაშვილი

მობ: 579 00 92 27 / e-mail: Irina_gurgenashvili@yahoo.com